

შპს „აგრო გრეინი“ (ს/ნ 422937077)

მსს ფასს-ის მიხედვით მომზადებული

ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დაამავე თარიღით
დასრულებული წლისათვის

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. კომპანიის აღწერა

შპს „აგრო გრეინი“ (შემდეგ - კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაფუძნდა 2019 წლის 18 ივლისს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. საიდენტიფიკაციო ნომრით 422937077.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს სოფლის მეურნეობა, კერძოდ მარცვლეული კულტურის მოყვანა. იურიდიული მისამართია გარდაბნის რაიონი, სოფ. სართიჭალა.

იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, მცხეთის ქუჩა 8.

კომპანიის დამფუძნებლები არიან: ლაშა ჯინჭარაძე (პ/ნ 01006013089) - 45%; კონსტანტინე კვერნაძე (პ/ნ 01024006055) - 30%; იოსებ ოქრუაშვილი (პ/ნ 12002000432) - 25%. კომპანიის დირექტორია ლაშა ჯინჭარაძე (პ/ნ 01006013089).

შეფასების და წარდგენის ვალუტა

კომპანიის სამუშაო და წარსადგენ ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL). ოპერაციები უცხოურ ვალუტაში, თავდაპირველად ჩაიწერება სამუშაო ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად ანგარიშგების თარიღისთვის.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა და ანგარიშგების მომზადების საფუძვლები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპისა და ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს / IFRS for SME's) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მოიცავს სრული შემოსავლის, ფინანსური მდგომარეობის, კაპიტალში ცვლილებებისა და ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგებებს და ასევე განმარტებით შენიშვნებს სააღრიცხვო პოლიტიკისა და გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობებისა და დაშვებების ჩათვლით.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების მეთოდით, თუ ქვემოთ მოცემულ სააღრიცხვო პოლიტიკაში სხვა რამ არ არის ნახსენები. ისტორიული ღირებულება ზოგადად დაფუძნებულია აქტივების სანაცვლოდ გაცემული თანხის სამართლიან ღირებულებაზე.

ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

მენეჯმენტმა აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება მოამზადა ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებით. აღნიშნული გადაწყვეტილების მისაღებად მენეჯმენტმა გაითვალისწინა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, მიმდინარე გეგმები, დადებითი ფულადი სახსრების მოძრაობა, ოპერაციების მომგებიანობა და საჭიროების შემთხვევაში ადგილობრივ ფინანსურ რესურსებზე წვდომა, ანგარიშგების პერიოდის შემდგომ მინიმუმ 12 თვის განმავლობაში.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

საწარმო ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს განსაზღვრავს, არსებობს თუ არა რაიმე ობიექტური მტკიცებულება იმ ფინანსური აქტივების გაუფასურების, რომლებიც შეფასებულია თვითღირებულებით ან ამორტიზებული ღირებულებით. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება, საწარმო გაუფასურების ზარალს დაუყოვნებლივ აღიარებს სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები არის ნორმალური საკრედიტო პირობების საფუძველზე წარმოქმნილი ვალები და არ გულისხმობს საპროცენტო განაკვეთს.

გადასახადები

მიმდინარე მოგების გადასახადის ხარჯი გამოიანგარიშება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. სამეურნეო სუბიექტის მიერ მიღებული წლიური მოგება 2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოში არ იბეგრება. მოგების გადასახადი ირიცხება გაცემულ დივიდენდებზე. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და ხარჯად ტარდება იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით და რომელ პერიოდზე მოხდა დივიდენდების გადახდა.

საქართველოში ასევე მოქმედებს სხვადასხვა საოპერაციო გადასახადი, რომლებიც გავლენას ახდენს კომპანიის საქმიანობაზე. ეს გადასახადები არის საერთო და ადმინისტრაციული ხარჯების კომპონენტი, კერძოდ ქონების გადასახადი აისახება საოპერაციო გადასახადებში.

დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ), რომელიც უკავშირდება გაყიდვებს, გადასახდელია საგადასახადო ორგანოში, როდესაც მოხდება საქონლის ან მომსახურების მიწოდება. შესყიდვებზე გადახდილი დღგ ჩაითვლება გადასახდელ დღგ-სთან, როდესაც მოხდება კომპანიის მიერ ანგარიშ- ფაქტურის მიღება. საგადასახადო ორგანოსმიერ ნებადართულია რომ დღგ-ს ანგარიშსწორება განხორციელდეს ნეტო ბაზისზე. გაყიდვებზე და შესყიდვებზე დარიცხული დღგ ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილია ნეტო თანხით. როდესაც კომპანიის მიერ მოთხოვნებთან დაკავშირებით იქმნება გაუფასურების ანარიცხი, იგი მოიცავს მისაღები დღგ-ს თანხებსაც.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთს სალაროში, ფულს ბანკში, დეპოზიტებს რომელთა თავდაპირველი ვადაც მაქსიმუმ 90 დღეა და თავისუფალია ყოველგვარი საკონტრაქტო დატვირთვებისგან. ფული და ფულის ეკვივალენტები საწყისად აღიარდება რეალური ღირებულებით და შემდეგ ამორტიზებადი ღირებულებით.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, სხვა პირდაპირ დანახარჯებს და აქტივის დემონტაჟთან, ლიკვიდაციასა და აღვიმდებარეობის აღდგენასთან დაკავშირებული ნებისმიერი აუცილებელი მომავალი ფულადინაკადების მიმდინარე შეფასებას.

მომავალი პერიოდის დანახარჯები ემატება აქტივის საბალანსო ღირებულებას, ან აღიარდება ცალკე აქტივად, იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ აქტივთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში და აქტივის დანახარჯების განსაზღვრა საიმედოდაა შესაძლებელი. ყველა სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შეკეთებასა და შენარჩუნებასთან, აღიარდება იმ პერიოდის სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, რომელშიც წარმოიშვა.

ძირითადი საშუალებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია ნეტო საბალანსო ღირებულებით, რომელიც გამოიანგარიშება მისი თავდაპირველი ღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

ძირითადი საშუალების ცვეთა იწყება მაშინ, როდესაც აქტივი მზადაა გამოსაყენებლად. ცვეთის გამოთვლა ხდება წრფივი მეთოდით. ასევე, გაითვალისწინება აქტივის ტექნიკური მოძველება და ფიზიკური ცვეთა.

ძირითადი საშუალებების ცვეთის ამორტიზაციის ნორმებია:

წლიური ამორტიზაციის ნორმა

შენობები და ნაგებობები 20 წელი

მანქანა-დანადგარები 5-7 წელი

სატრანსპორტო საშუალებები 5-10 წელი

ოფისის აღჭურვილობა 5 წელი

სხვა ძირითადი საშუალებები 20 წელი

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხდება აქტივის ნარჩენი ღირებულებისა და მომსახურების ვადის გადახედვა და საჭიროების შემთხვევაში, მათი ცვლილება.

ძირითადი საშუალებების ცვეთის ხარჯი აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როცა აღნიშნული თანხა უნდა აღირიცხოს სხვა აქტივის საბალანსო ღირებულებაში.

ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება გაყიდვის შემთხვევაში ან როდესაც მისი გაყიდვიდან ან გამოყენებიდან ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული შემოსულობა ან ზარალი აღიარდება იმ პერიოდის სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, როდესაც აღიარების შეწყვეტა მოხდა.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივი არის ფიზიკური ფორმის არმქონე იდენტიფიცირებადი არაფულადი აქტივი. არამატერიალური აქტივები ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ (ა) მოსალოდნელია, რომ ამ აქტივისგან მოსალოდნელია ეკონომიკური მოგების მიღება; და (ბ) შესაძლებელია აქტივის ღირებულების სარწმუნო (რეალური) შეფასება. კომპანიას საანგარიშგებო პერიოდში არამატერიალური აქტივები არ გააჩნია.

მარაგები

მარაგების შეფასება ხდება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. მარაგების თვითღირებულება მოიცავს მათ შემენასა და გადამუშავებასთან დაკავშირებულ დანახარჯებს, აგრეთვე იმ დანახარჯებს, რომელიც გაწეულია მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისა და სათანადო მდგომარეობაში მოყვანისათვის.

მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის შეფასებითი გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით.

კომპანიის მარაგების ძირითადი ნაწილი მოიცავს გასაყიდად არსებულ ცენტრალური გათბობისა და წყალგაყვანილობისთვის საჭირო მასალებსა და მოწყობილობებს. მარაგების ჩამოწერა ხორციელდება საშუალო შეწონილი მეთოდით.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის კომპანია განსაზღვრავს, არსებობს თუ არა რაიმე მინიშნება აქტივის გაუფასურების შესახებ. თუ არსებობს ასეთი ნიშანი, კომპანია აფასებს აქტივის ანაზღაურებად ღირებულებას და ადარებს მის საბალანსო ღირებულებას. თუ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია მის საბალანსო ღირებულებაზე, კომპანია ამცირებს საბალანსო ღირებულებას ანაზღაურებად ღირებულებამდე. ასეთ შემთხვევაში, ღირებულების შემცირების ოდენობა წარმოადგენს გაუფასურების ზარალს, რაც დაუყოვნებლივ აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ამონაგების აღიარება

კომპანია ამონაგებს აფასებს მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. შემოსავლის ძირითად წყაროს წარმოადგენს სარესტორნე მომსახურებიდან მიღებული შემოსავალი.

საპროცენტო შემოსავალი და საპროცენტო ხარჯი

საპროცენტო შემოსავალი და საპროცენტო ხარჯი აისახება ყველა ფინანსურ ინსტრუმენტთან მიმართებაში დარიცხვის პრინციპის საფუძველზე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს. თუ

ეკონომიკური სარგებელი მოსალოდნელია რომ წარმოიქმნება რამდენიმე სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში, მასთან დაკავშირებული ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება გონივრული განაწილების საფუძველზე.

საწესდებო კაპიტალი და დივიდენდები

საწესდებო კაპიტალის ინვესტირება აღიარდება ნომინალური ღირებულებით და კლასიფიცირდება როგორც საწესდებო კაპიტალი.

დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვლდებულება და აკლდება კაპიტალს იმ პერიოდისთვის, რომელშიც იგი გამოცხადდება.

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისათვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

2023 წლის საანგარიშო პერიოდში დაკავშირებულ მხარეებზე არ გაცემულა დივიდენდი და სახელფასო ანაზღაურება.

3. ფინანსური ანგარიშგების ძირითადი მუხლების ანალიზი

3.1 ინფორმაცია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შესახებ

პერიოდი	2022 წელი				2023 წელი		
	საწყისი ნაშთი	ზრდა	შემცირება	საბოლოო ნაშთი	ზრდა	შემცირება	საბოლოო ნაშთი
სულ საქონელი	323965	2242388	916575	1649778	1345253	2292385	702646
ნელლეული და მასალები	0	13888	13888	0	18050	18050	0
ნავთობპროდუქტები	761	23051	22668	1144	16628	16581	1191
სასუქები	93767	560098	643615	10250	642876	653126	0
პერბიციდი	0	13587	13587	0	25312	25312	0
სამრეწველო სიმინდი	0	376616	376616	0	290476	226874	63601
ჯამი	418493			1661172			767438

3.2 ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახული ძირითადი საშუალებები და დაგროვილი ცვეთა

2022 წელი

ანგარიში	დასახელება	თვითღირე ბუღება	დაგროვილი ცვეთა	ბრუნება ღებეტი	ბრუნება კრედიტი	თვითღირე ბუღება	დაგროვილი ცვეთა
2110	მიწის ნაკვეთები	5175243	0	893391	975728	5092906	0
2130	შენობები და ნაგებობები	580000	0	0	0	580000	0
2150	მანქანა-დანადგარები	955580	0	344573	0	1300153	0
2160	ოფისის აღჭურვილობა	2000	0	0	0	2000	0
2180	საგრანსპორტო საშუალებები	50000	0	29710	0	79710	0
2185	სხვა ძირითადი საშუალებები	0	0	825085	0	825085	0
2230	შენობის და ნაგებობების ცვეთა	0	37983	0	37983	0	75967
2250	მანქანა-დანადგარების ცვეთა	0	97193	0	108802	0	205995
2260	ოფისის აღჭურვილობის ცვეთა	0	0	0	667	0	667
2280	საგრანსპორტო საშუალებების ცვეთა	0	7783	0	7783	0	15567
2285	სხვა ძირითადი საშუალებების ცვეთა	0	0	0	30941	0	30941
	ჯამი	6762823	142960	2092759	1161905	7879854	329136

2023 წელი

ანგარიში	დასახელება	თვითღირე ბუღება	დაგროვილი ცვეთა	ბრუნება ღებეტი	ბრუნება კრედიტი	თვითღირე ბუღება	დაგროვილი ცვეთა
2110	მიწის ნაკვეთები	5092906	0	0	0	5092906	0
2130	შენობები და ნაგებობები	580000	0	0	0	580000	0
2150	მანქანა-დანადგარები	1300153	0	23378	0	1323531	0
2160	ოფისის აღჭურვილობა	2000	0	0	0	2000	0
2180	საგრანსპორტო საშუალებები	79710	0	0	24000	55710	0
2185	სხვა ძირითადი საშუალებები	825085	0	0	0	825085	0
2230	შენობის და ნაგებობების ცვეთა	0	75967	0	37983	0	113950
2250	მანქანა-დანადგარების ცვეთა	0	205995	0	126292	0	332287
2260	ოფისის აღჭურვილობის ცვეთა	0	667	0	667	0	1333
2280	საგრანსპორტო საშუალებების ცვეთა	0	15567	10400	3783	0	8950
2285	სხვა ძირითადი საშუალებების ცვეთა	0	30941	0	41254	0	72195
	ჯამი	7879854	329136	33778	233979	7879232	528715

3.3 მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ასახული შემოსავლის გაშიფვრა

2023 წლის შემოსავლები	
საოპერაციო შემოსავლები	
შემოსავალი რეალიზაციიდან - სამრეწველო სიმინდის მარცვალი	2213484
შემოსავალი რეალიზაციიდან - ქართული ხორბალი	113177
შემოსავალი რეალიზაციიდან - ხორბლის ნამჭა	4207
შემოსავალი რეალიზაციიდან - სიმინდის მწვანე მასა	33810
სათესლე სიმინდის რეალიზაცია	88356.4
სასუქების რეალიზაცია	125550
ჯამი	2578585

არასაოპერაციო შემოსავლები	
მოსავლის შემოსავალში ალება	1344122
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	52154
ჯამი	1396276

3.4 სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ასახული სხვა ხარჯების გაშიფვრა

2023 წლის სხვა ხარჯების გაშიფვრა	
რემონტის დანახარჯები	36864
სხვადასხვა მასალის ხარჯი	533639.74
საწვავის ხარჯი-ლიმელი	13943.8
საწვავის ხარჯი-ბენზინი	2637.08
ფ/პ მიერ გაწეული მომსახურების ხარჯი	144271.28
სიმინდის შრობის და შენახვის ხარჯი	243177.97
მოსავლის მოყვანაზე გაწეული დანახარჯები	158709.88
საპენსიო ფონდის ხარჯი	4130.2
ფოტოელექტრო სადგურის იჯარა	59461.25
კომუნიკაციის ხარჯები	1418.82
მელიორაცია ირიგაციის ხარჯი	20930.08
ღაზღევეა	1170
ავტომანქანის რემონტის ხარჯი	398.3
კომუნალური ხარჯები	139277.63
საჯარო რეესტრის ხარჯი	2700
სხვა საგადასახადო ხარჯი	34682.61
სასოფლო-სამეურნეო მომსახურების ხარჯი	286195.67
საგრანსპორტო მომსახურების ხარჯი	5370
საკურსო სხვაობიდან მიღებული ზარალი	10033.08
კონფერტაცია	3789.41
ბანკის მომსახურების საკომისიო	1844.72
სხვა საერთო ხარჯი	26993.48
ჯამი	1731639

შპს „აგრო გრეინი“-ს დირექტორი



ლაშა ჯინჟარაძე

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	31/12/2023	31/12/2022	31/12/2021
მოკლევადიანი აქტივები	1389020	1991322	1887427
ფული სალაროში	0	0	0
ფული ბანკში	70756	224587	455126
დებიტორული დავალიანება	506023	103956	5120
გაცემული ავანსები	0	0	1008688
საგადასახადო აქტივი	44803	1607	0
მარაგები (შენიშვნა 3.1)	767438	1661172	418493
გრძელვადიანი აქტივები	7350516	7550718	6619864
ძირითადი საშუალებები (შენიშვნა 3.2)	7350516	7550718	6619864
სულ აქტივები	8739536	9542040	8507291
მოკლევადიანი ვალდებულებები	148325	413641	827746
სავაჭრო კრედიტორული დავალიანება	146041	412387	560367
საგადასახადო ვალდებულებები	0	0	11999
საპენსიო ვალდებულებები	2284	1254	1142
მიღებული ავანსები	0	0	254238
გრძელვადიანი ვალდებულებები	6111199	6100000	6000000
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	6111199	6100000	6000000
სულ ვალდებულებები	6259524	6513641	6827746
კაპიტალი	2480012	3028399	1679545
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	677179	1448041	1195677
საწესდებო კაპიტალი	1802833	1580358	483868
სულ საკუთარი კაპიტალი	2480012	3028399	1679545
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	8739536	9542040	8507291

შპს „აგრო გრენი“-ს დირექტორი

ლაშა ჯინჭარაძე

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

	31/12/2023	31/12/2022
საქმიანობის შედეგები		
შემოსავალი მომსახურების გაწევიდან	43195	0
შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან (შენიშვნა 3.3)	2578585	1368984
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	-2523398	-1159395
საერთო მოგება	98382	209589
დასაქმებულთა ანაზღაურება	-122693	-109944
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი (შენიშვნა 3.2)	-209979	-186176
იჯარის ხარჯი	-7373	-7712
საპროცენტო ხარჯი	-193836	-7715
სხვა ხარჯი (შენიშვნა 3.4)	-1731639	-1762547
სხვა შემოსავალი	1396276	2116869
საოპერაციო მოგება	-770862	252364
მოგების გადასახადის ხარჯი	0	0
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	-770862	252364
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:	0	0
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	-770862	252364

შპს „აგრო გრეინი“-ს დირექტორი



ლაშა ჯინჭარაძე

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
ნაშთი 2022 წლის 1 იანვარს	483868	1195677	1679545
ზრდა+ / შემცირება-	1096490	252364	1348854
გადახდილი დივიდენდი	0	0	0
ნაშთი 2023 წლის 1 იანვარს	1580358	1448041	3028399
ზრდა+ / შემცირება-	222475	-770862	-548387
გადახდილი დივიდენდი	0	0	0
ნაშთი 2024 წლის 1 იანვარს	1802833	677179	2480012

შპს „აგრო გრენი“-ს დირექტორი

ლაშა ჯინჭარაძე



ფულადი სახსრების მოძრაობა

ფულადი სახსრების მოძრაობა	31/12/2023	31/12/2022
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		
მომხმარებლისგან მიღებული ფულადი სახსრები	2263280	
მომწოდებლებზე გაცემული ფულადი სახსრები	-2360460	
დასაქმებულ პირებზე გაცემული ფულადი სახსრები	-97220	
საბიუჯეტო გადასახადები	41172	
სხვა საოპერაციო ფულადი სახსრები	-9073	
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	-162301	-983,628
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა და გაუმჯობესება	-27586	0
სესხის გაცემა	0	0
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	-27586	-440,830
ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან		
საწესდებო კაპიტალის შევსება (შემცირება)	222475	
ფულადი სახსრების შემოსვლა სესხებიდან	166185	
სესხის ძირის გადახდა	-154987	
სესხის პროცენტის გადახდა	-193836	
დივიდენდების გადახდა	0	
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	39837	1,196,490
სულ ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)	-150050	-227,968
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა	-3781	-2,571
ფულადი სახსრები პერიოდის დასაწყისში	224587	455,126
ფულადი სახსრები პერიოდის ბოლოს	70756	224587

შპს „აგრო გრეინი“-ს დირექტორი

ლაშა ჯინჭარაძე